ხელშეკრულება №MDF/D/NCS/649-2023

(ავტოტექნიკური მომსახურების და საქონლის მიწოდების შესახებ)

Municipal Development Fund of Georgia
Digitally signed by Municipal Development Fund of Georgia
Date: 2023.02.01 18:50:55 +04'00'

ქ. თბილისი 01 თებერვალი 2023 წ.

ერთი მხრივ **სს „ფრანს ავტო“** (ს.კ. 236098165) წარმოდგენილი მისი დირექტორის, გიორგი ფალიანის სახით, (შემდგომში „შემსრულებელი“) და მეორე მხრივ **სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი** (ს.კ. 206 074 193), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის CFO, ლევან შარვაძის სახით (შემდგომ „დამკვეთი“) , საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის N26 დადგენილების საფუძველზე და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დამკვეთის დავალებით, შეთანხმებული ანაზღაურების სანაცვლოდ, შემსრულებლის მიერ შემდეგი სახის მომსახურების გაწევა: მხარეთა შორის შეთანხმებული პერიოდულობით ან/და დამკვეთის საჭიროებისამებრ, დამკვეთის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის, ავტოტექნიკური მომსახურების გაწევა, საჭიროებისამებრ ავტოსათადარიგო ნაწილებითა და სხვა მასალით უზრუნველყოფის ჩათვლით (შემდგომში ”მომსახურება”) ან/და დამკვეთისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების, აქსესუარებისა და დეტალების მიწოდება, ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის (CPV- 50110000) (შემდგომში ”საქონელი”).

1.2. ავტოსატრანსპორტო საშუალებების დასახელება:
Renault Duster - სახ.N.: CQ 854 CC;
Renault Duster - სახ.N.: CQ 855 CC;
Renault Duster - სახ.N.: II 173 CI;
Renault Duster - სახ.N.: II 175 CI;
Renault Duster - სახ.N.: II 176 CI;
Renault Duster - სახ.N.: II 177 CI.

2.მხარეთა უფლება-მოვალეობები

შემსრულებელი ვალდებულია

2.1.სამუშაო შეასრულოს სრულად და ჯეროვნად, შეთანხმებული ხარისხისა და აღიარებული სტანდარტის დაცვით მხარეთა შორის შეთანხმებულ ვადებში.

2.2. სამუშაოს შესრულების პროცესში გაითვალისწინოს დამკვეთის შენიშვნები გონივრულობისა და მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

დამკვეთი ვალდებულია

2.3. მხარეთა შორის შეთანხმებულ ვადებში შემსრულებლისგან მიიღოს გაწეული ხარისხის მომსახურება ან/და მიწოდებული საქონელი მათთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტთან ერთად.

2.4. გადაიხადოს გაწეული მომსახურების ან/და მიწოდებული საქონლის საზღაური მხარეთა შორის შეთანხმებული წესითა და პირობებით.

2.5. მომსახურების მიღებისას განახორციელოს ავტომანქანის შემოწმება და კონტროლი პირადად ან გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით.

3.მომსახურების ფასი და ანგარიშსწორების წესი

3.1. ხელშეკრულების ღირებულებაა **10,000.00 (ათი ათასი)** ლარი.

3.2. ხელშეკრულების 3.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი მოსაკრებელი და გადასახადი.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებლის მიერ შესასრულებელი სამუშაოების საერთო ღირებულება განისაზღვრება დანართიN1-ში მოცემული ფასების შესაბამისად. სამუშაოების საერთო ღირებულება შეიძლება მოიცავდეს როგორც მომსახურების ისე სათადარიგო ნაწილების ღირებულებას.

3.4. გაწეული მომსახურეობის/მიწოდებული საქონლის საზღაური აისახება მხარეთა მიერ გაფორმებულ მიღება-ჩაბარების, შესრულებული სამუშაოს აქტში, რომლის საფუძველზეც გამოიწერება შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურა, ხელშეკრულებით შემსრულებლის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება შემსრულებლის მიერ დადგენილი საერთო ფასების შესაბამისად.
3.5. დამკვეთი იღებს ვალდებულებას მოახდინოს ანგარიშსწორება შესაბამისი მომსახურების გაწევიდან, არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.
3.6. თუ, სერვისისა და სათადარიგო ნაწილებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანების ხანდაზმულობა აღემატება 10 დღეს (10 დღიანი ვადის ათვლა იწყება წინამდებარე ხელშეკრულების მესამე მუხლის 3.4. პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ), კომპანია უფლებამოსილია დამკვეთს შეუჩეროს მომსახურების გაწევა ან/და საქონლის მიწოდება, დავალიანების 100%-ის დაფარვამდე.
3.7. ანგარიშსწორება ხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, შემსრულებლის კუთვნილ საბანკო ანგარიშზე, დამკვეთის მიერ თანხის ჩარიცხვის გზით.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

4.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 4.1. ქვეპუნქტში აღნიშნული შესყიდვის ობიექტის მიწოდების მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები არიან შემსყიდველის მხრიდან - სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო ჯგუფის უფროსი დავით გოგლიძე და სპეციალისტი ზურაბ კაკაურიძე, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან სს ფრანს ავტოს დირექტორი გიორგი ფალიანი.

5.მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 2 პროცენტის ოდენობით.

5.2. აღმოჩენილი დეფექტის, ნაკლის გამოსწორებისათვის ან/და შეცვლისათვის მიმწოდებელმა თუ გადააცილა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულების შესრულების ვადას, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებით მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების 0,5 პროცენტის ოდენობით.

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის დარღვევისას, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებით მიწოდებული შესყიდვის ობიექტის 0,5 პროცენტის ოდენობით.

5.4 ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით.

6.ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები მთლიანად ან ნაწილობრივ თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებების დადგომით, კერძოდ: წყალდიდობით, მიწისძვრით, სტიქიური უბედურებით, ხანძრით, გაფიცვით, საომარი-სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, სახელმწიფო ორგანოების აქტებით ან ქმედებებით და სხვა. (ფორსმაჟორული გარემოებები).
6.2. მხარეების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორსმაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.
6.3. თუ ფორსმაჟორული გარემოებების დადგომისას დამკვეთს მიღებული აქვს გაწეული მომსახურება ან/და საქონელი დამკვეთი ვალდებულია შესაძლებლობის ფარგლებში, განახორციელოს ანგარიშსწორება გაწეული მომსახურების ან/და მიღებული საქონლის სანაცვლოდ.
6.4. თუ ფორსმაჟორული გარემოებები გაგრძელდა 90 (ოთხმოცდაათი) დღეზე მეტხანს, ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე და არცერთ მხარეს არ ექნება მეორე მხარისგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

7. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

7.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
7.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
7.3. თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8. ხელშეკრულების კონტროლის პირობები

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი, შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად.
8.2. კონტროლის აქტში მითითებული უნდა იყოს აღმოჩენილი დეფექტი ან ნაკლი.
8.3. ვიზუალური დათვალიერების დროს, ხილვადი დეფექტის ან/და ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით ან/და სატელეფონო კავშირით შეატყობინოს მიმწოდებელს აღმოჩენილი დეფექტის, ნაკლის შესახებ და მოსთხოვოს მისი აღმოფხვრა ან შეცვლა თავისი ხარჯით.
8.4. კონტროლის აქტის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ჩატარდება მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ექსპერტიზა. იმ შემთხვევაში თუ ექსპერტიზა დაადგენს, რომ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პარამეტრებსა და მოთხოვნებს, ექსპერტიზის ხარჯებს აანაზღაურებს მიმწოდებელი, ხოლო შესაბამისობის შემთხვევაში - ექსპერტიზის ხარჯებს აანაზღაურებს შემსყიდველი.
8.5. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ კონტროლთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს
8.6. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო ჯგუფის უფროსი დავით გოგლიძე და სპეციალისტი ზურაბ კაკაურიძე.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

9.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

9.3.ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ, მხარეთა ის ნაკისრი ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში რჩება ძალაში მათ სრულ შესრულებამდე.

9.4. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის 20 (ოცი) დღით ადრე დასაბუთებული შეტყობინების გაგზავნით.

9.5.ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოშობილი ვალდებულებები მხარეებმა უნდა შეასრულონ სრულად და ჯეროვნად ხელშეკრულების შეწყვეტისთანავე, თუ მხარეთა შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული.

9.6. ხელშეკრულების შეწყვეტის სხვა საფუძველი რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.დასკვნითი დებულებები

10.1. მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2(ორი) თანაბარი ძალის მქონე იდენტურ ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემათ მხარეებს.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენას.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ის ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შემსრულებელი **სს "ფრანს ავტო"** ს.კ.236098165 ბანკი: სს „საქართველოს ბანკი" ანგ. ნომ: GE25BG0000000254559400 დირექტორი: გიორგი ფალიანი _____ RENAULT Digitally signed by George Paliani Date: 2023.02.01 16:41:17 +04'00'	**დამკვეთი** **სსიპ „საქართველოს მუნიციპალური** **განვითარების ფონდი"** ს.კ. 206 074 193 ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N150 სახელმწიფო ხაზინა ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი: TRESGE22 ლევან შარვაძე აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე CFO _____

დანართიN1

#	*სათადარიგო ნაწილების დასახელება*	*ერთეულის ფასი*	*რაოდენობა*	*მომსახურების ფასი*	*შენიშვნა*
1	სავალი ნაწილის შემოწმება			10	
2	ხელის მუხრუჭის რეგულირება			40	
3	წინა საყრდენი დისკი	480	1 კომპ.	80	

4	წინა საყრდენი დისკის მოხეხვა		1 კომპ.	80	შლიფოვკა
5	უკანა საყრდენი დისკი	870	1 ცალი.	70	
6	უკანა საყრდენი დისკის მოხეხვა		1 ცალი.	80	შლიფოვკა
7	ბურთულა სახსარი (შარავოი)	95	1 ცალი.	60	
8	დაკიდების ბერკეტის მილისა (წინა გიტარის ვტულკა)	55	1 ცალი.	45	
9	თვლების ნახარის რეგულირება			50	
10	გაბარიტის ნათურა (დიდი)	15	1 ცალი	5	
11	გაბარიტის ნათურა (პატარა)	5	1 ცალი	5	
12	ახლოს მაშუქი ნათურა	15	1 ცალი	5	
13	შორს მაშუქი ნათურა	15	1 ცალი	5	
14	სანისლე ფარის ნათურა ჰ 16	95	1 ცალი	25	
15	სანისლე ფარის ნათურა ჰ 11	55	1 ცალი	25	
16	უკანა სტოპის ნათურა	10	1 ცალი	10	
17	მოხვევის მაჩვენებლის ნათურა	10	1 ცალი	10	
18	სალონის სტოპის ნათურა	10	1 ცალი	5	
19	სამუხრუჭე სითხე	25	0.5 ლიტრ	160	2 წელი
20	ანტიფრიზი	35	1 ლიტრი	40	2 წელი
21	ანტიფრიზის შემოწმება			5	
22	მაცივარ აგენტი (ფრეონი)	25	100 გრ.	50	
23	შეჭიდების ქურო დისკი	870	1 კომპ.	550	
24	მოჭიდების საკისარი	680	1 ცალი	550	
25	საბურავის დისკის გასწორება მარტივი		1 ცალი	15	
26	საბურავის დისკის გასწორება საშუალო		1 ცალი	25	
27	საბურავის დისკის გასწორება რთული		1 ცალი	45	
28	საბურავის მოხსნა დაყენება		1 ცალი	3	
29	საბურავის დაშლა-აწყობა		1 ცალი	6	
30	საბურავის ბალანსირება		1 ცალი	6	

31	საბურავის შეკეთება მარტივი		1 ცალი	10	
32	საბურავის შეკეთება საშუალო		1 ცალი	20	
33	საბურავის შეკეთება რთული		1 ცალი	50	
34	წინა საქარე მინის ვაიპერი	195	1 კომპ.	10	
35	უკანა საქარე მინის ვაიპერი	95	1 ცალი	5	
36	საქარე მინის ყინვა საწინააღმდეგო სითხე	20	1 ლიტრი	2	
37	საყვირის და შუქების ჩამრთველი სახელური	450	1 კომპ.	60	
38	საყვირი	135	1 ცალი	40	
39	ელ; სისტემის დიაგნოსტიკა			30	
40	ელ; შუშების ამწევი და ჩამომწევი ღილაკი	295	1 ცალი	60	
41	ელ; შუშების ამწევი და ჩამომწევი ღილაკის აღდგენა			120	
42	ელ; სისტემის შეკეთება მარტივი			80	
43	ელ; სისტემის შეკეთება საშუალო			180	
44	ელ; სისტემის შეკეთება რთული			300	
45	ელ; სისტემის პროგრამირება			350	
46	ელ;დროსელი	1980	1 კომპ.	200	
47	ელ; დროსელის ინსტალაცია			150	
48	ელ; ბაბინა	280	1 ცალი	60	მოხსნიკ კოლექტორზე
49	ძრავის შემშვები კოლექტორის მოხსნა-დაყენება			180	
50	კატალიზატორი	6820	1 ცალი	350	
51	კატალიზატორის დაჩიკი ზედა	480	1 ცალი	60	
52	კატალიზატორის დაჩიკი ქვედა	530	1 ცალი	80	
53	ამძრავი (სტარტერი)	2635	1 კომპ.	200	
54	ელ; გენერატორი	3150	1 კომპ.	200	
55	ელ; გენერატორის დაშლა-აწყობა			80	
56	წინა ბამპერის მოხსნა-დაყენება			150	
57	შესადუღებელი სამუშაო მართივი			40	
58	შესადუღებელი			120	

	სამუშაო საშუალო				
59	შესადუღებელი სამუშაო რთული			200	
60	უკანა დაკიდება (უკანა შტანგა)	360	1 ცალი	80	
61	უკანა დაკიდების მილისა (უკანა შტანგის ვტულკა)	95	1 ცალი	40	
62	წინა დაკიდება (წინა გიტარა)	465	1 ცალი	100	
63	მაყუჩის გოფრე	160	1 ცალი	160	
64	მაყუჩის მოხსნა-დაყენება			140	
65	მაყუჩის სამაგრი რეზინის ბალიში	135	1 ცალი	35	
66	წინა მორგვის საკისარი (წინა სტუპიცის საკისარი)	230	1 ცალი	90	
67	უკანა მორგვის საკისარი (უკანა სტუპიცის საკისარი)	215	1 ცალი	120	
68	წინა ამორტიზატორი	360	1 ცალი	70	
69	უკანა ამორტიზატორის	330	1 ცალი	70	
70	წინა ამორტიზატორის ბალიში	95	1 ცალი	70	
71	წინა ამორტიზატორის ბალიშის საკისარი	95	1 ცალი	70	
72	წინა ამორტიზატორის დამცავი-რგოლი (ადბოინიკი)	95	1 ცალი	70	
73	უკანა ამორტიზატორის დამცავ-ირგოლი (ადბოინიკი)	95	1 ცალი	70	
74	ამორტიზატორის ზამბარა	230	1 ცალი	70	
75	მშრალი ამორტიზატორის რეზინი წინა	95	1 ცალი	45	
76	მშრალი ამორტიზატორი	1735	1 კომპ.	120	
77	მშრალი ამორტიზატორის რეზინი უკანა	85	1 ცალი	35	
78	წინა სტერჟინი	140	1 ცალი	45	
79	უკანა სტერჟინი	135	1 ცალი	35	
80	წევა (უდარნი ტიაგა)	140	1 ცალი	55	
81	წევა მტვერდამცავი(უდარნი ტიაგის პილნიკი)	90	1 ცალი	55	
82	წევის დაბოლოვება (ნაკანეჩნიკი)	135	1 ცალი	45	
83	გადაცემათა კოლოფის დაშლა-აწყობა			550	

84	გადაცემათა კოლოფის მოხსნა-დაყენება			550	
85	ძრავის ბალიში (დიდი)	395	1 ცალი	180	
86	გადაცემათა კოლოფის ბალიში ქვედა	190	1 ცალი	45	
87	გადაცემათა კოლოფის ბალიში ზედა	230	1 ცალი	160	
88	ჰიდრავლიკის ნასოსის	3765	1 კომპ.	350	
89	ჰიდრავლიკის ნასოსის ისტალაცია			150	
90	ჰიდრავლიკის სითხე	35	1 ლიტრი	60	
91	კონდენციონერის რადიატორი	1680	1 ცალი	180	
92	წყლის რადიატორი	1270	1 ცალი	180	
93	სალონის ფეჩის რადიატორი	780	1 ცალი	550	
94	ტორბედოს მოხსნა-დაყენება			550	
95	წამყვანი ღერძის კომპლექტი (პოლიუსი)	1890	1 კომპ.	120	
96	წამყვანი ღერძის მტვერდამცავი გარე (პოლიუსი პილნიკი)	115	1 ცალი	120	
97	წამყვანი ღერძის მტვერდამცავი შიდა (პოლიუსის პოლნიკი)	95	1 ცალი	140	
98	წამყვანი ღერძის საკისარი	250	1 ცალი	160	
99	წინა (ხიდის მოხსნა-დაყენება)			350	
100	წინა (ხიდის) ჩობალი № 1	140	1 ცალი	60	
101	წინა (ხიდის) ჩობალი № 2	140	1 ცალი	40	
102	უკანა (ხიდის) ჩობალი	140	1 ცალი	80	
103	უკანა (ხიდის) საკისარი	140	1 ცალი	60	
104	გადაბმულობა (კარდანი)	1980	1 კომპ.	120	
105	უკანა (ხიდის) მოხსნა-დაყენება			350	
106	სიჩქარის კულისა	1360	1 ცალი	250	
107	კონდენციონერის კომპრესორის მოხსნა-დაყენება			350	
108	კონდენციონერის კომპერსორი	3520	1 ცალი	350	
109	კონდენციონერის კომპრესორის შეკეთება მარტივი			250	
110	კონდენციონერის კომპრესორის შეკეთება საშუალო			450	

111	კონდენციონერის კომპრესორის შეკეთება რთული			750	
112	საწვავის ტუმბო	870	1 ცალი	200	
113	საწვავის ავზის და სისტემის გამორეცხვა			450	
114	უკანა სამუხრუჭე ავზი (ბაჩოკი)	290	1 ცალი	80	
115	სამუხრუჭე ხუნდების სამაგრი	180	1 ცალი	60	
116	ხელის მუხრუჭის (ტროსი)	160	1 ცალი	120	
117	ევაკუატორის მომსახურება ქ.თბილისის ტერიტოსიაძე (სტანდარტული)			85	(სტანდარტული)
118	ევაკუატორის მომსახურება ქ.თბილისის ტერიტოსიაძე (ობობა)			125	(ობობა)
119	ევაკუატორის მომსახურება რეგიონებში		1 კმ	2.60	
120	მინების დამუქება მარტივი			250	
121	მინების დამუქება საშუალო			350	
122	მინების დამუქება რთული			450	
123	ქარ ამრიდი (გვერდითა შუშების წვიმისგან დამცავი)	580	1 კომპ.	80	
124	რეზინის ფეხსაგები	150	1 კომპ.	0	

დამკვეთი:
მუნიციპალური განვითარების ფონდი

ლევან შარვაძე

შემსრულებელი:
სს "ფრანს ავტო"
დირექტორი გიორგი ფალიანი

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე CFO

დირექცია